Conse

სამართლებრივი გზამკვლევი

სასაქონლო ნიშანი

ავტორი: ელენე წკრიალაშვილი

2021 წლის 16 აპრილი

რის საფუძველზე მოიპოვება უფლებები სასაქონლო ნიშანზე?

სასაქონლო ნიშანზე უფლებები მოიპოვება ცალკეულ სახელმწიფოში მისი რეგისტრაციის გზით. საქართველოში სასაქონლო ნიშანზე უფლების მოპოვებისათვის საჭიროა მისი რეგისტრაცია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში „საქპატენტი“) ან რეგისტრაცია საქართველოში საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე. სასამართლოს ან საქპატენტის სააპელაციო პალატის მიერ საყოველთაოდ ცნობილად აღიარებული ნიშნები დაცულია საქართველოში რეგისტრაციის გარეშე.

ვის აქვს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის უფლება?

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს. აღნიშნულ პირებს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია შეუძლიათ პირადად, ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით.

რა არის და რა შეიძლება იყოს სასაქონლო ნიშანი?

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-3 მუხლის მიხედვით, სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო, ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც წარმოებული საქონლის ან/და მომსახურების იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენება და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას სხვა საწარმოს საქონლის ან/და მომსახურებისგან.

სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს ნებისმიერი განმასხვავებელუნარიანი სიმბოლო, რომელიც გრაფიკულად გამოისახება. ასეთი სიმბოლო შეიძლება იყოს: სიტყვა, სიტყვების ერთობლიობა, ასოები, ციფრები, ბგერები, ადამიანის სახელი, გამოსახულება, ფიგურა რომელიც სამგანზომილებიანია, საქონლის შეფუთვა ან სხვაგვარი გაფორმება, რომელიც იქმნება ფერის ან ფერების კომბინაციის გამოყენებით.

რა არის საჭირო სასაქონლო ნიშნის საქართველოში რეგისტრაციისთვის?

იმისათვის, რომ ფიზიკურმა, ან იურიდიულმა პირმა შეძლოს საქართველოში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, მან ან მისმა წარმომადგენელმა საქპატენტში უნდა წარადგინოს განაცხადი, რომელიც უნდა მოიცავდეს კანონის მე-9 მუხლით განსაზღვრულ მონაცემებს. განაცხადი ივსება ქართულ ენაზე. საქპატენტში განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონულად, საქპატენტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს საქმისწარმოების პროცესს.

რა პროცედურებს ითვალისწინებს სასაქონლო ნიშნის საქართველოში რეგისტრაცია ?

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია რამდენიმე ეტაპს ითვალისწინებს, კერძოდ: ფორმალურ ექსპერტიზას, არსობრივ ექსპერტიზასა და გამოქვეყნების ეტაპს. თუ არსობრივი ექსპერტიზის ეტაპზე განმცხადებელს უარი ეთქვა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, განაცხადი აღარ გაივლის გამოქვეყნების ეტაპს. თუ ნიშანი ექვემდებარება რეგისტრაციას, საქპატენტი აქვეყნებს განაცხადის მონაცემებს საქპატენტის სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში თავის ვებ გვერდზე. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია შეიტანოს სააპელაციო საჩივარი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის მონაცემების გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადაში არ შევიდა სააპელაციო საჩივარი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ საქპატენტის სააპელაციო პალატაში, სასაქონლო ნიშანი რეგისტრირდება და აღნიშულზე გაიცემა შესაბამისი სარეგისტრაციო მოწმობა.

განაცხადის განხილვა შესაძლებელია როგორც ჩვეულებრივი, ასევე დაჩქარებული წესით. ჩვეულებრივი წესით რეგისტრაციის შემთხვევაში, ყველა ეტაპის გავლას შესაძლოა დასჭირდეს ერთ წლამდე პერიოდი, ხოლო დაჩქარებული წესით განხილვის შემთხვევაში - ერთ თვემდე პერიოდი. დაჩქარებული წესით განაცხადის წარდგენის შემთხვევაში საფასური, როგორც წესი, ორმაგდება.

განმცხადებელს შეუძლია საქპატენტის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქპატენტის სააპელაციო პალატაში ან/და სასამართლოში.

რა არის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები?

საქპატენტი, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ განაცხადის არსობრივი ექსპერტიზის ეტაპზე შინაარსობრივად აფასებს მოთხოვნას და იღებს გადაწყვეტილებას ნიშნის რეგისტრაციის, ნაწილობრივი რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. ამ შეფასების პროცესში საქპატენტი სარგებლობს საკმაოდ მაღალი დისკრეციით, თუმცა ვალდებულია თავისი უარყოფითი გადაწყვეტილება დააფუძნოს კანონით პირდაპირ განსაზღრულ რომელიმე საფუძველს. კანონი ითვალისწინებს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტურ და შედარებით საფუძვლებს, რომლებიც ამომწურავად არის ჩამოთვლილი კანონის მე-4 და მე-5 მუხლებში.

რა საფასურები უნდა იყოს გადახდილი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისთვის და რეგისტრაციის ძალაში შენარჩუნებისთვის?

იმისათვის, რომ მოხდეს სასაქონლო ნიშნის საქპატენტში რეგისტრაცია ან საქპატენტის სააპელაციო პალატის მიერ დავის განხილვა, დაინტერესებულმა პირმა უნდა გადაიხადოს საფასური თითოეული ეტაპისთვის და პროცედურისთვის, რაც დადგენილია საქპატენტის მიერ და გამოქვეყნებულია მათ ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

რა უფლებები გააჩნია სასაქონლო ნიშნის მფლობელს?

სასაქონლო ნიშნის მფლობელს ნიშანთან დაკავშირებით ენიჭება განსაკუთრებული უფლებები, რომელიც წარმოიშობა ნიშნის რეგისტრაციის მომენტიდან. კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, სხვა უფლებებთან ერთად, სასაქონლო ნიშნის მფლობელს აქვს უფლება, აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული სასაქონლო ნიშნის იდენტურია, ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა. სასაქონლო ნიშნის მფლობელი უფლებამოსილია, მიიღოს ნებისმიერი კანონიერი ზომა იმისათვის, რომ აღკვეთოს მისი განსაკუთრებული უფლებების დარღვევა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სასაქონლო ნიშნის მფლობელი ასევე უფლებამოსილია, ნიშანზე განსაკუთრებული უფლებები გადასცეს მესამე პირებს სრულად, ან - ნაწილობრივ, ან გასცეს ლიცენზია სასაქონლო ნიშნის გამოყენებაზე.

რა არის პრიორიტეტი?

კანონის საფუძველზე, პრიორიტეტი არის ერთგვარი უპირატესობა, რომლითაც სარგებლობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე შეტანილი განაცხადი, მასზე გვიან შეტანილ განაცხადთან შედარებით. პრიორიტეტი სასაქონლო ნიშანზე დგინდება განაცხადის შეტანის თარიღით, იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის შეტანიდან ერთი თვის ვადაში გადახდილია ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზისთვის დადგენილი საფასური.

სხვა შემთხვევაში პრიორიტეტი სასაქონლო ნიშანზე შეიძლება დადგინდეს პარიზის კონვენციით განსაზღვრული წესით, საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტის სახით.

როგორ შეიძლება დარეგისტრირდეს სასაქონლო ნიშანი სხვა ქვეყანაში საქართველოდან?

საქართველო არის წევრი “ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების ოქმისა”, რაც გულისხმობს იმას, რომ საქპატენტის მეშვეობით შესაძლებელია წარდგენილი იქნეს განაცხადი აღნიშნული შეთანხმების წევრ ნებისმიერ ქვეყანაში და მოთხოვნილ იქნეს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია შესაბამის ქვეყანაში. ეს პროცედურა ხელმისაწვდომია იმ პირებისთვის, რომელთაც წარდგენილი აქვთ განაცხადი საქართველოში შესაბამისი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნით. აღნიშნული პროცედურის არსებობა არ გამორიცხავს პირის უფლებას, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნით პირდაპირ მიმართოს უცხო ქვეყნის შესაბამის უწყებას.

მადლობა ყურადღებისთვის!

ელენე წკრიალაშვილი

უმცროსი იურისტი

elene.tskrialashvili@conse.ge

www.conse.ge